**მშთ კომპლექსის სამკერდე ნიშანი სიმამაცეს, მხნეობას, ჯანმრთელობას ნიშნავს!**

**დღეს იწყება დიდი გამოცდები. მოემზადეთ მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად!**



**თუ გსურთ მარად ახალგაზრდები დარჩეთ, მისდიეთ ფიზკულტურას, დიდმა და პატარამ ჩააბარეთ მშთ კომპლექსის ნორმატივები!**

**ყურადღება: ახალმა კომპლექსმა სტარტი აიღო. წარმატებას გისურვებთ!**


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 43 (4553)

1972 წ. 1 მარტი, ოთხშაბათი. ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## სოციალისტურ შეჯიბრებაში ხაშურელებს ვიწვევთ

მშთ ახალი კომპლექსი საბჭოთა კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ახალი საფეხურია, რომლის გავლა ერთნაირად სავალდებულოა როგორც მათთვის, ვისაც სპორტული მწვერვალების დაპყრობა აქვს განზრახული, ისე მათთვისაც, ვისაც საკუთარი ჯანმრთელობის განმტკიცება სურს.

კომპლექსის მოთხოვნები ისეა შედგენილი, რომ ვინც ამ ნორმატივებზე გამოცდებს ერთხელ ჩააბარებს, შემდეგში საერთო ფიზმომზადების ჯგუფებსა და ჯანმრთელობის სექციებში (აღარას ვამბობთ სპორტულ სექციებზე) მეცადინეობა აღარ გაუჭირდება.

საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ყველასთვის სავალდებულო უნდა გავხადოთ, ყველა ასაკის ადამიანი უნდა ჩავაბათ ნორმატივების ჩასაბარებლად მოსამზადებელ საქმიანობაში, და მათთან მუშაობა არც შემდეგ უნდა შევწყვიტოთ.

ნორმატივების მასობრივად ჩაბარებაში განსაკუთრებით დიდი როლის შესრულება შეუძლია კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ერთობლივ მუშაობას. მათ მოსწავლე და მშრომელი ახალგაზრდობა საერთო ძალით უნდა დარაზმონ, პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა შორის სათანადო სააგიტაციო მუშაობა გასწიონ, დაარწმუნონ ისინი ნორმატივებით გათვალისწინებული მოთხოვნების ჩაბარების აუცილებლობაში.

ბორჯომის რაიონის ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ, რომ მშთ-ს ახალი საფეხურის რაც შეიძლება მეტი ოქროსა და ვერცხლის ნიშნოსანი გვყავდეს. ამ მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ხაშურის რაიონის კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. მოსავალს წლის დამლევისთვის შევაჯამებთ.


ვ. გოგოლაძე,
საქართველოს ალკკ ბორჯომის რაიკომის მდივანი.
ა. გელაშვილი,
ბორჯომის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.


## ყველამ უნდა ჩააბაროს

კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ მუდამ იყო წვევამდელთა ფიზიკური აღზრდის საუკეთესო საშუალება. ვისაც ამ კომპლექსის ნორმატივები დროულად არ ჰქონდა ჩაბარებული, საბჭოთა არმიაში მოვალეობის მოხდისას თანატოლებს ჩამორჩებოდა. ამიტომ მოზარდებსა და წვევამდელებში მას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა: მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირული და დოსააფის ორგანიზაციები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნიშნოსნების მომზადებაში.

სამხედრო მოსამსახურეებისთვის მშთ კომპლექსის ნორმატივები მოქნილობის, სიმამაცის, მოხერხებულობის, ძალისა და ვაჟკაცობის საფუძველია.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობის ფიზიკური მომზადების მოთხოვნები კიდევ უფრო გაიზარდა. ამიტომაც შეიქმნა მშთ ახალი კომპლექსი, რომელიც წინამორბედისგან საფუძვლიანად განსხვავდება. წვევამდელი ასაკის ახალგაზრდობისთვის იგი ითვალისწინებს ცალკე საფეხურს, რომელსაც სამართლიანად ჰქვია „ძალა და ვაჟკაცობა“. 16-18 წელი ისეთი ასაკია, რომელიც ადამიანს დიდ სარბიელზე გასვლისთვის ამზადებს, ამიტომაც ახალ კომპლექსში ამ ასაკის ახალგაზრდებისთვისაც ზედმიწევნით კარგადაა შერჩეული სანორმატივო მოთხოვნები, რაც სპორტის ტექნიკურ სახეობებსაც ითვალისწინებს.

ყველას, ვისთვისაც ჩვენი ქვეყნის ძლიერება ძვირფასია, ვისაც შრომა უყვარს, ვურჩევ გულმოდგინედ იმეცადინოს ფიზკულტურასა და სპორტში, წარჩინებით ჩააბაროს მშთ ახალი კომპლექსის ნორმატივები, რეგულარული ვარჯიშით სრულყოს თავისი ფიზიკური მომზადება, რათა საჭიროების შემთხვევაში სამშობლოს ერთგულ დამცველთა რიგებში ჩადგეს.


პ. წაქაძე,
სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი.


## ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

ჰანოი, 29 თებერვალი. საწარმო-დაწესებულებებში მომუშავე 450 ათასი ჰანოელი დილის ტანვარჯიშს მისდევს. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ქალაქში ფეხბურთელთა 189, ფრენბურთელთა 376 და მაგიდის ჩოგბურთელთა 850 გუნდია. ეს სახეობები ყველაზე პოპულარულია ჰანოის ახალგაზრდობაში.

მარშან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გაიხსნა ახალი სპორტული კლუბები, რომელთა სხვადასხვა სექციაში ფიზკულტურის ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით ათასობით გოგონა და ჭაბუკი მეცადინეობს.

ულან-ბატორი, 29 თებერვალი. გდრ-ის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და მონღოლეთის მოციგურავეთა აქ გამართული შეჯიბრების პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ქ. ჰაინცმა (გდრ).

## ორიენტირება სათხილამურო ტრასაზე



ოკისპირა ტყეებში ალექსინსა და ველეგოჟს შორის დამთავრდა ზამთრის საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება ადგილზე ორიენტირებაში. ასპარეზობა სსრ კავშირის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა. ბრძოლაში ჩაებნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, სომხეთის ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსული ოსტატები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უცნობ ადგილებში თხილამურებით რბენაში რუკისა და კომპასის დახმარებით. გამარჯვება მას რჩებოდა, ვინც სხვებზე სწრაფად გაივლიდა ტრასას, ამასთან, რუკაზე ზუსტად განსაზღვრავდა და აღნიშნავდა საკონტროლო პუნქტებს.

მარკირებულ ტრასაზე ორიენტირებაში ვაჟთა შორის (დისტანცია 18 კმ, 13 საკონტროლო პუნქტი) საუკეთესო შედეგი აჩვენა არმიელმა ი. აგლიჩევმა — 1:35.17. მაგრამ იგი უკონკურსოდ გამოდიოდა. ჩემპიონის წოდება მოიპოვა ყაზანელმა ი. ბარანოვმა — 1:37.58.

ქალები 10 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს (9 საკონტროლო პუნქტი). გაიმარჯვა მოსკოველმა ტ. კალაშნიკოვამ — 1:21.33.

ტრასაზე ორიენტირებით ესტაფეტაში ვაჟებისთვის მონიშნული იყო სამი ეტაპი (7,8+9,9+9,7 კმ) 5-5 საკონტროლო პუნქტით. აქ ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა შეიარაღებული ძალების გუნდი (ვ. ვოლი, ვ. კისელიოვი, ი. აგლიჩევი) — 2:23.58. მაგრამ ეს გუნდიც უკონკურსოდ გამოდიოდა. ამიტომ ოქროს მედლები მოიპოვეს ლენინგრადელებმა ა. ბაზანოვმა და ს. კრილოვმა, აგრეთვე, სვერდლოვსკელმა გ. კუნცევიჩმა — 2:29.54.

ქალთა შეჯიბრებასაც სამი ეტაპი ჰქონდა (6,5+7+6,8 კმ) თითოეულზე 4 საკონტროლო პუნქტით. გაიმარჯვა ლენინგრადელთა გუნდმა (ო. კაზანცევა, გ. ციპკინა და ზ. პიატაკოვა) — 2:27.03.

დასკვნით სახეობაში — მოცემული მიმართულებით ორიენტირებაში, რომელიც ასეთ ასპარეზობაში პირველად იყო შეტანილი, ვაჟები ჩემპიონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ 14, ხოლო ქალები 7 კმ-ზე. გაიმარჯვეს ნოვოსიბირსკელმა ლ. დრობოვიჩმა (1:10.20) და რიგელმა ა. სლავინიამ — 46.09.

საერთო გუნდური გამარჯვებისთვის გარდამავალი თასი გადაეცათ „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებს. II ადგილზეა „ტრუდი“, III — „დაუგავა“.





## დასვენება მთებში

უზბეკეთის დედაქალაქის მცხოვრებთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია ჩიმგანი, რომელიც ქალაქიდან 80 კილომეტრზე, ტიან-შანის მისადგომებთან მდებარეობს.

განსაკუთრებით ბევრი ხალხია აქ ზამთრობით. მზე და თოვლი, მთის სუფთა ჰაერი ათასობით ადამიანს იზიდავს. დიდი ჩიმგანის მთის დათოვლილ ფერდობებზე გაყვანილია ტრასები სამთომთოთხილამურეებისთვის — როგორც ახალბედა, ისე გამოცდილი სპორტსმენებისთვის. მთის მისადგომებიდან დაახლოებით 2000 მეტრ სიმაღლეზე საათში 700 კაცი ამყავს ახალ საბაგირო გზას.

დამსვენებელთა განკარგულებაშია გაქირავების პუნქტი, სადაც მსურველებს აძლევენ თხილამურებს, საძილე ტომრებს, ციგებს ბავშვებისთვის. იქვეა მოწყობილი მყუდრო პატარა სახლები. მუშაობს სასადილო.

* * *

სურათებზე: სამთომთოთხილამურეები დიდი ჩიმგანის ფერდობებზე; საბაგირო გზა.

ა. ვარფოლომეევის ფოტოები.

# ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

თოვლზე მობრჭყვიალე მზე. კარპატის ქათქათა მთის წვერები. ფერდობებზე მოსრიალე მოთხილამურეები. იმიერკარპატეთში ნამდვილი ზამთარი დგას, მაგრამ საკმარისია ხეობაში დაეშვათ, რომ თავსხმა წვიმა უკვე გაზაფხულს შოგაგონებთ.

ასეთი კონტრასტებით შეხვდა კარპატის მთები ტურისტულ-სათხილამურო გადარბენის ესტონელ მონაწილეებს.

200 კაცმა აქ დაუვიწყარი რვა დღე გაატარა და ამ დღეებს ყველა მათგანი ნამდვილ ზღაპრად მიიჩნევს.



სურათზე: ესტონელთა „სათხილამურო დესანტი" რახოვში.

ი. ვენდელინის ფოტო.

## საბჭოთა ქვეყნის ირგვლივ

### ჯანმრთელობის ზონა

„შრომითი რეზერვების" ახალი სპორტული კომპლექსი ნიკოლაევის ჩრდილოეთ განაპირას მდებარე საქალაქო ჯანმრთელობის ზონის ძირითად ნაწილად იქცა. იქვე, სადაც მდინარეები ინგულა და სამხრეთი ბუგი ერთდებიან, განლაგებულია სანაოსნო და წყალსათხილამურო სადგურები, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პლაჟი.

ნიკოლაევი.

### საბჭოთა მეურნეობის სპორტული გეგმები

საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალის". (ჩიმკენტის ოლქი) 12 სექციაში სპორტში რეგულარულად მეცადინეობს 700-მდე სოფლის მშრომელი. ამჟამად ფიზკულტურელთა განკარგულებაშია სტადიონი მძლეოსნური სექტორებით, ზამთრის სპორტული დარბაზი, 14 მოედანი. ხუთწლედის დასასრულისთვის საბჭოთა მეურნეობაში სამჯერ მეტი სპორტული ნაგებობა იქნება. ხუთწლედის ბოლო წელიწადს დირექციას დაგეგმილი აქვს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის გამოჰყოს 45 ათასი მანეთი.

ჩიმკენტი.

### შემინული კორტები

ჩელიაბინსკის „ლოკომოტივის" ცენტრალური სტადიონის გვერდით წიწვნარში აღიმართა ორიგინალური ნაგებობა 12-მეტრიანი მინის გუმბათით. ესაა ჩოგბურთის სასახლე, რომლის მშენებლობაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის აღსაზრდელები.

ჩელიაბინსკი.

### დასახმარებლად მზად არიან

იალტაში უკვე ათი წელია მუშაობს კლუბი, რომელიც აერთიანებს სულ სხვადასხვა პროფესიის ხალხს — ექიმებს, გეოლოგებს, ინჟინრებს, მეცნიერ-მუშაკებს, სტუდენტებს, მუშებს. ყველა მათგანი მეკლდეური და მთამსვლელია, ვინაიდან კლუბიც სამთო-სამაშველო გახლავთ. თუ ტურისტებს საფრთხე ემუქრებათ, იალტელები მუდამ მზად არიან მათ დასახმარებლად.

იალტა.

# არა მარტო სახელისთვის

წყალბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში დინამოელები თავიანთი უნარის სრულად გამოვლენას არც ვარაუდობდნენ: იმედოვნებდნენ, რომ „ბურევესტნიკმა" მთელი ძალ-ღონე „ლოკომოტივთან" წინადღის შეხვედრას შეალია. ეს თამაშს თავიდანვე დაეტყო. ერთხანს ისეთი შთაბეჭდილებაც შეიქმნა, თითქოს გუნდს გოლის გატანაც არ სურდა. უფერული თამაში მანამ გაგრძელდა, სანამ დინამოელები ბურევესტნიკელმა ი. სეროპიანმა ამ გულგრილობისთვის კარის აღებით არ დასაჯა. ეს მეორე პერიოდის პირველივე წუთზე მოხდა. მერე ა. შატალინმა და გ. ისელიძემ საპასუხოდ ორი ბურთი გაიტანეს და პერიოდიც მოიგეს.

შემდეგ ხუთწუთიან მონაკვეთში პირიქით მოხდა: ახლა ვ. როდინისა და ი. ლებედევის გოლებს დინამოელმა ვ. სანაძემ მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხა.

ბოლო პერიოდში სტუდენტები კვლავ თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ წესი დაარღვიეს და გამარჯვებისთვის საჭირო ერთი გოლი ოთხმეტრიანი საჯარიმოთი გაიტანა დინამოელთა კაპიტანმა ისელიძემ. 4:3 — ასე დამთავრდა შეხვედრა.

„სპარტაკთან" უკანასკნელი ტურის მატჩში „ლოკომოტივმა" ძირითადად ახალგაზრდები გამოიყვანა. მან მოიგო კიდეც შეხვედრა — 10:6.

ბოლო ტურში ურთიერთშეხვედრამდე არც ერთი მოგება არ ჰქონდათ ბათუმის „ვოდნიკსა" და ქუთაისის ნაკრებს. აუტსაიდერთა ამ მატჩში გამარჯვებულს მხოლოდ ბოლო ადგილისგან თავის დაღწევა შეეძლო. მაგრამ ქუთაისელებმა არაფრის მთქმელ ამ ორ ქულას, როგორც ვწერდით, მანამდე „დინამოსთან" ვაჟკაცური ბრძოლა არჩიეს. ამიტომაც ამ დღეს ისინი აშკარად დაღლილები ჩანდნენ. „ვოდნიკმა" გაიმარჯვა — 6:3.

დინამოელთა გუნდს, რომელმაც ჩემპიონობა მოიგო, პირველი ხარისხის დიპლომებთან ერთად ფასიანი საჩუქრები გადაეცა.

II და III ადგილების საკითხი „ლოკომოტივისა" და „ბურევესტნიკის" გაპროტესტებული მატჩის განმეორებით ჩატარებას უნდა გაერკვია. ამ კოლექტივების შეხვედრა ახლაც დაძაბულად, ზედმიწევნით ფრთხილად დაიწყო. უფრო აზრიანად რკინიგზელები უტევდნენ. პირველ პერიოდში მათ ცხრაჯერ მოახერხეს კარში დარტყმა. პერიოდის დამთავრებამდე 18 წამი რომ რჩებოდა, სტუდენტები უხეშად ეთამაშნენ ვ. დადივაძეს, მაგრამ ოთხმეტრიანი საჯარიმოდან ჯ. წიკლაურის ძლიერი დარტყმა ძელმა უკუაგდო. ეს შეცდომა წიკლაურმა თამაშის მე-9 წუთზე ეფექტურად დაგვირგვინებული იერიშით გამოასწორა. გოლი მესამე პერიოდში გაქვითა ბურევესტნიკელმა სეროპიანმა.

ამის შემდეგ დადივაძის, წიკლაურისა და ჯ. თორთლაძის ოსტატური თამაშის წყალობით „ლოკომოტივი" მთელი ენერგიით ამოქმედდა, რკინიგზელებმა ოთხამდე გაზარდეს ანგარიში (ორი ბურთი გაიტანა თორთლაძემ, ერთი — ა. ტრეპეტუნმა).

ამ მარცხს სტუდენტები არ გაუტეხია: ბოლო პერიოდში ს. დოლგოვმა და ლებედევმა კარიც აიღეს, მაგრამ პრინციპული მატჩის წაგებას ვერ გადაურჩნენ — 3:4. აქვე შევნიშნავთ, რომ მატჩს შესანიშნავად მსაჯობდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. სანაძე.

„ლოკომოტივმა" (მწვრთნელი გ. ნიორაძე) დამსახურებულად მოიპოვა II საპრიზო ადგილი.

რესპუბლიკურ ჩემპიონატში ხუთი გუნდის მონაწილეობა აშკარად უკმარია. ამასთან, მონაწილეებს მომზადება არ ჰყოფნიდათ. და მაინც, ბათუმისა და ქუთაისის გუნდებს მადლობის მეტი არაფერი ვთქმით, სწორედ მათმა მონაწილეობამ აქცია ჩემპიონატი რესპუბლიკურად. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელში შეგვრჩებოდა თბილისის პირველობა სპორტსაზოგადოებათა შორის.

ჯგუფების სიმცირეზე რაღა უნდა ვთქვათ, როცა წვრთნის ნორმალური პირობები არსებულ ჯგუფებსაც არა აქვთ. საცურაო აუზების მუშაობის ახალმა საკავშირო დებულებამ ხომ მთლად მოიძულა წყალბურთი. გუნდებს მათთვის არასასურველ გრაფიკს სთავაზობენ აუზზე სავარჯიშოდ. მაგალითისთვის თუნდაც თბილისი კმარა, საკავშირო დებულება წყალბურთელებისთვის ცალკე აუზების აგებისკენ გეზს იძლევა. მაგრამ ეს კი არა, ჯერ ცურვის მასობრივად შესასწავლად ბავშვებისთვის უბრალო საჭყუმპალაოების მოწყობის პრობლემაც არ გადაჭრილა.

ამბობენ, შეჯიბრება დაოსტატების სკოლააო. ქუთაისელთა მწვრთნელმა დ. ხორავამ სამართლიანად შენიშნა, რომ ეს ნათქვამი ჭეშმარიტებას მუდამ როდი შეეფერება. ახალბედამ შეიძლება საერთოდ ხელი ჩაიქნიოს წყალბურთზე, როცა ასეთ საპასუხისმგებლო სარბიელზე შეხვედრას შეხვედრაზე აგებს. ამიტომ გვმართებს სიფრთხილე. ბოლოს და ბოლოს ჩემპიონატი მარტო სახელისთვის ხომ არ უნდა ჩავატაროთ?!

თ. გაჩეჩილაძე.

### ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 5 | 5 | 0 | 43:11 | 10 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 5 | 4 | 1 | 43:25 | 8 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 5 | 3 | 2 | 47:12 | 6 |
| „სპარტაკი" (თბილისი) | 5 | 2 | 3 | 22:47 | 4 |
| „ვოდნიკი" (ბათუმი) | 5 | 1 | 4 | 20:43 | 2 |
| ქუთაისის ნაკრები | 5 | 0 | 5 | 17:54 | 0 |

# დარჩა მხოლოდ მოგონება

## ფიზკულტურის კოლექტივებში

აფხაზეთში ერთ-ერთი მოწინავეა გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. ზადიკიანი). ამ სასოფლო-სამეურნეო არტელმა სახელი გაითქვა თანამედროვე სოფლის ყველა სიკეთით. შრომაში თავგამოჩენილი ახალგაზრდები სპორტულ სარბიელზეც არაერთხელ გამოსულან წარმატებით. ფეხბურთელები რაიონისა და აფხაზეთის ჩემპიონები იყვნენ. ფრენბურთელ ვ. ჩალიდირიანს და ძალოსან ს. ნაგაბედიანს ბევრჯერ უასპარეზიათ აფხაზეთისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებში. კეთილმოწყობილი ბაზები და ბუნებრივი პირობები კარგად იყო გამოყენებული სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის.



ახლანდელი საშუალებები კიდევ უკეთესია, და მაინც იძულებული ვართ „დავიწყებული ტრადიციების" ნაღვლიანი სიტყვებით შემოვფარგლოთ ჩვენი შთაბეჭდილება. დასანანია, რომ ერთ დროს სახელგანთქმულ ფიზკულტურულ კოლექტივს დღეს მხოლოდ მოგონებაღა შემორჩა.

მიზეზი სოფლის ახლანდელი თავკაცები არიან. მათ კოლმეურნეობის ახალი წესდების არცოდნას როგორ ვკადრებთ, მაგრამ დავჰქვდით, როცა მშრომელთა ყოფაცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობაზე ვსაუბრობდით. ჩვენი პოზიციის დასაცავად კოლმეურნეობის ახალი წესდების მოშველიება გახდა საჭირო, რომელშიც სწერია, რომ „...კოლმეურნეობა ყოველდღიურად ზრუნავს კოლმეურნეობის წევრებისა და მათი ოჯახების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური აღზრდისთვის; აშენებს და აღჭურავს სპორტულ ნაგებობებს, ხელს უწყობს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას"...

ფიზკულტურის კოლექტივის საქმიანობა სამეურნეო უბანზე ნაკლებ მნიშვნელოვანი რომ არ გახლავთ, ცხადია. აქ კი გულდამშვიდებულნი შეცქერიან ჩამორჩენას. პროფკავშირულ ორგანიზაციას (თავმჯდომარე ა. ტოპალიანი) შარშან სპორტული მუშაობისა და ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი თანხებიც არ აუთვისებია. მიზეზი რომ გაგვიმარტა, ტოპალიანმა უნებლიედ თავის თავსაც წაუყენა ბრალდება — სექციები რომ ჩამოყალიბდება, თანხებსაც მაშინ გავილებთ (?!).

არადა, კოლმეურნეობაში ბევრია სპორტის მოყვარული. შარშან ფეხბურთელებმა რაიონის პირველობაზე ოთხივე შეხვედრაში გაიმარჯვეს, მაგრამ არაორგანიზებულად შემდგარ გუნდს მეორე წრის შეხვედრებში აღარ უასპარეზია. ფრენბურთელებსაც იგივე მოუვიდათ. საკუთარი კოლექტივის ღირსების დაცვის მოლოდინში ჭიდაობის მოყვარულნი დაბა განთიადში დადიან სავარჯიშოდ.

ხეივნელ თავკაცთა გულგრილობაზე მოწმობს ეს სურათიც, რომელიც კოლმეურნეობის თავმჯდომარის სამუშაო ოთახიდანაა გადაღებული. თავმჯდომარე გულდამშვიდებულია, რომ წყალსადენის მილები, რომლებსაც ფოტოზე ხედავთ, საიმედოდაა დაცული ადგილობრივი სკოლის კარგად შემობილ ეზოში. ის კი არავის ადარდებს, რომ მილები სკოლის კომპლექსურ მოედანზე, პირდაპირ მძლეოსნურ ბილიკებსა და სექტორებზეა დაწყობილი და ასობით მოზარდს სპორტში მეცადინეობის საშუალებას უკარგავს.

გ. თენგოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ხეივანი,
გაგრის რაიონი.

# ტელეტაიპის ლენტიდან

რატვიკი, 29 თებერვალი. სპრინტერულ მრავალჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ შეჯიბრების მონაწილენი შვეციის ამ ქალაქის საციგურაოზე გამოვიდნენ. 500 მეტრზე რბენაში სპრინტერთა შორის პირველი იყო ჰ. ბიორიესი (შვეცია) — 41,1: მან ჩამოიტოვა მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი, ფინელი ლ. ლინკოვესი — 41,3. მრავალჭიდელთა ჯგუფში ყველას აჯობა ნორვეგიელმა რ. გრიონვოლდმა — 42,1. 1000 მეტრზე რბენაში საუკეთესო იყო შვედი ი. გრანატი — 1.25,7. 3000 მეტრზე გაიმარჯვა ჰოლანდიელმა ი. ბოლსმა — 4.42,3. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, საპოროს სამი ოქროს მედლის მფლობელმა ა. სხენკმა (ჰოლანდია) IV ადგილები დაიკავა 500 (43,3) და 3000 მეტრზე (4.54,5) ასპარეზობაში.

პრაღა, 29 თებერვალი. ველოკროსში მოყვარულთა შორის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ბელგიელმა ნ. დე დეკერემ, რომელმაც ჩეხოსლოვაკიაში რთულ წრიულ ტრასაზე (მარშრუტის საერთო სიგრძე — 21,82 კმ) 1.03.30 აჩვენა. ვერცხლის პრიზიორი მ. ფიშერა (ჩეხოსლოვაკია) ფინიშზე მას 5 წამით ჩამორჩა, III ადგილზე გასული ვ. რენერი (გდრ) — 11 წამით. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გამართულ რიგით 23-ე მსოფლიო პირველობაში 14 ქვეყნის 54 ველოსიპედისტი მონაწილეობდა. პროფესიონალ მრბოლელთა შორის, რომლებიც უფრო გრძელ დისტანციაზე — 23,06 კმ-ზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, გაიმარჯვა ე. დე ვლამინკმა (ბელგია) — 1:08.04,0. კროსმენ ველოსიპედისტთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი 1973 წელს მოეწყობა ინგლისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აუცილებლობით ნაკარნახევი

საქართველოს პროფსაბჭოს მოთხილამურეთა პირველობა, რომელიც ამას წინათ ბაკურიანში გაიმართა, საკავშირო პროფკავშირთა XV ყრილობას მიეძღვნა. ტურნირში „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, „ბურევესტნიკისა“ და „განთიადის“ ნაკრები კოლექტივები მონაწილეობდნენ.

გუნდებში უფროსებთან სავალდებულო იყო იუნიორთა შეყვანაც, რომელთა მაჩვენებლებიც საერთო გუნდურ ჩათვლაში შედიოდა. დებულების ეს პუნქტი მომავალ თაობაში სათხილამურო სპორტის განვითარების აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

ასპარეზობისთვის ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ „კოლმეურნისა“ და „სპარტაკის“ სპორტსმენები, რომელთა შორისაც გაიმართა საერთო პირველობისთვის გადამწყვეტი ბრძოლა. საბოლოოდ გამარჯვება „კოლმეურნეს“ დარჩა. „სპარტაკის“ ნაკრები II ადგილზე გავიდა. მესამე იყო „განთიადი“.

„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები ტურნირისთვის სუსტად მოემზადა. მისი გუნდები 4×5 კილომეტრზე ქალთა ესტაფეტასა და შერეულ ესტაფეტაში, რომელშიც შეტოქეთ 5-5-კილომეტრიან ეტაპებზე 3-3 ვაჟი და ქალი, აგრეთვე 2-2 იუნიორი გამოჰყავდათ, ასპარეზობიდან მოიხსნენ, ამიტომ „ბურევესტნიკი“ IV ადგილს დასჯერდა.

ვაჟთა შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა 4×10 კილომეტრზე და შერეული ესტაფეტები. 4×10 კილომეტრზე რბოლაში „კოლმეურნემ“ (ა. ფილიევი, ლ. სოლოიანი, ზ. გულბანი, რ. მაკიევი. 2:15.24) „სპარტაკს“ 19 წამი მოუგო. ეტაპებზე საუკეთესო დროც (32.24,0) „კოლმეურნის“ წევრმა სოლოიანმა აჩვენა. ძირითად მეტოქესთან, სპარტაკელ ი. ნასყიდაშვილთან შედარებით თავისი ეტაპი მან 12 წამით ადრე დაამთავრა.

სამაგიეროდ, სპარტაკელებმა რევანში შერეულ ესტაფეტაში აიღეს. ამ სახეობაში პირველ ეტაპზე ვაჟებმა აიღეს სტარტი, მეორეზე — ქალებმა... ბოლო ორი ეტაპი კი იუნიორებს ეთმობოდათ. სპარტაკელებმა (თ. თედიაშვილი, ლილი მაკიევა, ვ. კოზანაშვილი, ვალენტინა აკოფოვა, ი. ნასყიდაშვილი, ტატიანა ტერეხოვა, ბ. ბაკაევი და ო. დიაკონაშვილი) შეჯიბრების დამთავრებას 2:53.21 მოანდომეს, „კოლმეურნის“ რვა მოთხილამურემ — 2:54.35.

ქალთა ესტაფეტაც (4×5 კმ) „სპარტაკის“ კვარტეტის (აკოფოვა, ფ. ქობესაშვილი, მაკიევა, ტერეხოვა) გამარჯვებით დამთავრდა — 1:48.23, „განთიადის“ გუნდის ლიდერის, სპორტის ოსტატ კ. კეხბას (მან დღის საუკეთესო შედეგი მოიპოვა — 23 წუთი) მონდომებამ თანაგუნდელთა დანაკარგი საგრძნობლად აანაზღაურა, მაგრამ ეს კოლექტივი საბოლოოდ II ადგილს დასჯერდა — 1:49.15. „კოლმეურნის“ მოთხილამურეებმა მეორე ეტაპზე ლ. ჯამგელიანი გამოიყვანეს. იგი ძალიან სუსტად იყო მომზადებული და 5 კილომეტრის გავლას 43.24 (!) მოანდომა, ამიტომ გუნდი III ადგილს ვერ ასცდა — 2:02.35.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება სამთო სახეობებში ასპარეზობას დაეთმო. სპორტსმენები გიგანტური სლალომის ტრასაზე სამჯერ გამოვიდნენ. მოეწყო აგრეთვე სპეციალური სლალომი, რბოლა — ქალებისთვის 5 და 10, ვაჟებისთვის კი 15 და 30 კილომეტრზე, ტრამპლინიდან ხტომა, იუნიორებისთვის — 20 კილომეტრზე ასპარეზობა.

მოასპარეზეებმა 17 პირველი თანრიგის შედეგი აჩვენეს. საგრძნობლად დაბალი იყო „მფრინავ მოთხილამურეთა“ შედეგები, ორჭიდში შეჯიბრება კი არ ჩატარებულა.

საქართველოს პროფსაბჭომ გამარჯვებული სპორტსმენები სპორტული ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით დააჯილდოვა.

ვიდრე სხვა ტექნიკურ შედეგებს გაგაცნობდეთ, უნდა აღვნიშნოთ რესპუბლიკის პროფსაბჭოს კარგი გადაწყვეტილება — ამგვარი შეჯიბრებები ყოველწლიურად გამართოს. ეს სათანადო წვლილს შეიტანს საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარებაში. ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ შემდეგისთვის გუნდს „ლოკომოტივიც“ შექმნის.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

## სხვა ტექნიკური შედეგები

**ქალები. რბოლა. 5 კმ.** კეხბა — 22.12, ნ. ბალაშვილი („ბურევესტნიკი“) — 24.38, ტერეხოვა — 26.37. **10 კმ.** კეხბა — 46.44, ბალაშვილი — 48.33, ტერეხოვა — 52.29. **სპეციალური სლალომი.** ლ. გოგოლაძე („კოლმეურნე“) — 1.04,2, ზ. გავა („ბურევესტნიკი“) — 1.08,6, ა. ჯაფარიძე („კოლმეურნე“) — 1.11,1. **I გიგანტური სლალომი** (750 მ, სიმაღლეთა სხვაობა 110 მ, 25 კარი). მ. ცარიტოვა („კოლმეურნე“) — 1.07,8, გოგოლაძე — 1.09,5, გავა — 1.11,1. **II გიგანტური სლალომი** (1020 მ, 250 მ, 28 კარი). გოგოლაძე — 1.08,2, ცარიტოვა — 1.08,3, გავა — 1.09,2. **III გიგანტური სლალომი** (იგივე ტრასა). გოგოლაძე — 1.08,3, ცარიტოვა — 1.10,0, ჯაფარიძე — 1.11,9.

**ვაჟები. რბოლა. 15 კმ.** სოლოიანი — 52.56, დიაკონაშვილი — 55,53, თედიაშვილი—56,12. **30 კმ.** ნასყიდაშვილი — 1:43,15, სოლოიანი — 1:47.06, თედიაშვილი — 1:55.21. **სპეციალური სლალომი.** რ. აკოფოვი („ბურევესტნიკი“) — 1.03,33. დ. თვაური („კოლმეურნე“) — 1.04,4, ვ. მიქაბერიძე („კოლმეურნე“) — 1.07.8. **I გიგანტური სლალომი** (1020 მ, 250 მ, 25 კარი). თვაური—1.06,8, ზ. მაკიევი („სპარტაკი“) — 1.07,3, ს. ნავერიანი („კოლმეურნე“) — 1.08,2. **II გიგანტური სლალომი** (1020 მ, 250 მ, 28 კარი). აკოფოვი — 1.12,2, ჯ. ჯიკაევი („სპარტაკი“) — 1.12,6, მაკიევი — 1.12,6. **III გიგანტური სლალომი** (იგივე ტრასა, 23 კარი). მაკიევი — 1.00,2, აკოფოვი — 1.00,4, თვაური — 1.00,4. **70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.** ბ. მჭედლიანი („კოლმეურნე“) — 126,7 ქულა (57,5 და 56 მ), პ. შავკაზი („სპარტაკი“) — 107,1 (55 და 52,5 მ), ბ. ქუმარიტაშვილი („კოლმეურნე“) — 105 (52,5 და 54).

**იუნიორები. 20 კმ-ზე რბოლა.** დიაკონაშვილი — 1:13.47, ფილიევი — 1:16.02, გ. უგრეხელიძე („სპარტაკი“) — 1:25,10.

* * *

ბურევესტნიკელი მოთხილამურე ნარგიზა ბალაშვილი ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედაა: უმცროსი სულ რამდენიმე თვისა გახლავთ. მაგრამ ეს ბალაშვილს ხელს არ უშლის, რომ რესპუბლიკურ ტურნირებში კვლავაც წარმატებით იასპარეზოს. წლეულს ბაკურიანში რამდენჯერაც სცადა ბედი, იმდენჯერ საპრიზო ადგილს დაეპატრონა.



ს უ რ ა თ ზ ე: ნ. ბალაშვილი ასპარეზობისას.

ო. გელაშვილის ფოტო.

# ტოლი არ დაუდეს



თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 51 წლისთავს მიუძღვნა მძლეოსნური ესტაფეტა „ქალაქის წრე“. წლეულს ეს ფაქტიურად პირველი შეჯიბრება იყო ღია ცის ქვეშ. მონაწილე კოლექტივები სიძლიერის მიხედვით ოთხ ჯგუფად დაიყვნენ. I ჯგუფში დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივების ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ, II ჯგუფში — ტექნიკუმების, III — ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლებისა და მწვრთნელთა სკოლის კოლექტივები, ხოლო IV — საწარმო-დაწესებულებათა ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში საქართველოს გუნდების მონაწილეობის შედეგების განხილვის შემდეგ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა „სპორტის დედოფლის“ განვითარებისთვის დასახა ახალი ღონისძიებანი, რომელთა შორისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ესტაფეტებს უკავია. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ „ქალაქის წრის“ სტარტზე თბილისის ფიზკულტურული კოლექტივების, სულ ცოტა, 90 პროცენტი მაინც გამოვიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, ისეთ დიდ კოლექტივებშიც კი, როგორიცაა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, № 1 ავტოშემკეთებელი ქარხანა, „გაზოაპარატი“, 26 კომისრისა და ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენი ქარხნები, „მიკროძრავა“, პლასტმასის ქარხანა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო, უცხო ენების ინსტიტუტი, პროფტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დიდი ნაწილი, სპორტული სკოლები ამ დადგენილებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამიტომაც აარიდეს თავი შეჯიბრებას.

ყველაზე მეტად მაინც საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის და სპორტკლუბ „სინათლის“ გუნდების გულგრილობა გვაოცებს, ვინაიდან ორივე კოლექტივს საკმაო ძალები ჰყავს.

სტარტზე სულ ოთხივე ჯგუფის 21 გუნდმა მოიყარა თავი. უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფში 5 კოლექტივი გამოდიოდა, II ჯგუფში — 7, III — 2, IV — 7. ყველა კოლექტივში 12 ვაჟი და 6 ქალი იყო, რომლებიც 18 ეტაპად დაყოფილ წრეზე ასპარეზობდნენ.

ლენინის მოედნიდან შეჯიბრება ვაჟებმა დაიწყეს და ეტაპი (900 მ) შეუპოვარ ბრძოლაში გაირბინეს, მაგრამ პირველი ლიდერები მაინც გამოვლინდნენ. ესენი იყვნენ უნივერსიტეტის, ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების, პოლიტექნიკური ტექნიკუმის, ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების სპორტსკოლისა და სპორტკლუბ „ელმავლის“ წარმომადგენლები. შემდეგში მომავალმა ინჟინრებმა თანდათან იძალეს, შუა დისტანციის მერე მათი მთავარი კონკურენტი გახდა ბავშვთა ნაკრები, რომელიც ხანდახან დაწინაურებასაც ახერხებდა.

ესტაფეტამ გაიარა მეტეხის ხიდი, მარცხენა სანაპირო გრიბოედოვის ძეგლამდე, პლეხანოვის პროსპექტი ჩელიუსკინელთა ქუჩამდე. აქედან ესტაფეტამ გმირთა მოედნისკენ შეუხვია და ლენინის ქუჩით რუსთაველის პროსპექტზე გავიდა, მერე კი ისევ ლენინის მოედნისკენ გაეშურა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ბოლო ეტაპზე გამოიყვანა ლ. კორკოტაძე, რომელმაც ესტაფეტა თანაგუნდელისგან ყველაზე ადრე მიიღო და შეჯიბრებაც პირველმა დაამთავრა. მომავალმა ინჟინრებმა 9 კილომეტრის გარბენას 22.40,0 მოანდომეს. მათ აბსოლუტურად საუკეთესო დრო აჩვენეს, I ჯგუფში პირველობა დაისაკუთრეს და პრიზითა და სიგელით დაჯილდოვდნენ. ამ ჯგუფში II ადგილზე გავიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი — 23.39,0, III — უნივერსიტეტის ნაკრები — 24.03,0.

აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულ კოლექტივს ტოლი არ დაუდეს განათლების განყოფილების სპორტსკოლელებმა, რომლებმაც უფროს კოლეგებთან მხოლოდ 7 წამი წააგეს და დღის მეორე შედეგი მოიპოვეს, რამაც, რა თქმა უნდა, მათ III ჯგუფში გამარჯვება მოუპოვა. II ადგილი მწვრთნელთა სკოლის გუნდს დარჩა — 25.05,0.

ტექნიკუმებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების კოლექტივების შეჯიბრებაში პოლიტექნიკური ტექნიკუმის ნაკრებმა (24.25,0) ძირითად მეტოქეს — მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდს 35 წამით აჯობა. III ადგილზე რკინიგზის ტექნიკუმელები გავიდნენ — 26.38,0.

რაც შეეხება საწარმო-დაწესებულებების ჯგუფში მოასპარეზე კოლექტივებს, აქ ყველას საგრძნობლად აჯობეს „ელმავლის“ სპორტსმენებმა — 24.47,0. II ადგილი ხვდა „გამარჯვებას“ — 26.58,0, III — „განთიადს“ — 27.34,0.

რ. მაღრაძე.





* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სტარტი; ლ. კორკოტაძე ფინიშთან; პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც საუკეთესო შედეგს მიაღწია.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ჭადრაკი

# ოლიმპიადის მოლოდინში

## თითოეულ გუნდში 13 მონაწილეა

სპორტული სამყარო დიდი ინტერესით ხვდება I საკავშირო საჭადრაკო ოლიმპიადას, რომელიც დღეს საზეიმოდ გაიხსნება მოსკოვში, საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ძალოსანთა სასახლეში. შეჯიბრებაც ამ დარბაზში ჩატარდება.

საასპარეზოდ მოწვეული არიან მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. თითოეულ გუნდში 13 მონაწილეა: 6 ვაჟი (1 სათადარიგო მონაწილე), 3 ჭაბუკი, 2-2 ქალი და გოგონა.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი, მფრინავი-კოსმონავტი ვ. სევასტიანოვი თავკაცობს, გამოაცხადა, რომ შეჯიბრებაში თითქმის ყველა ცნობილი მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. პირველ დაფაზე ითამაშებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), მ. ტალი (ლატვია), დიდოსტატები ვ. კორჩნოი (ლენინგრადი), ლ. პოლუგაევსკი (რსფსრ), პ. კერესი (ესტონეთი), ვ. სავონი (უკრაინა), რ. ვაგანიანი (სომხეთი), ა. ლუტიკოვი (მოლდავეთი), საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი (აზერბაიჯანი) და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდში არიან: ვაჟები — დიდოსტატი ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, ოსტატები ე. უბილავა, ს. ჩიქოვანი, ოსტატობის კანდიდატი ზ. მიქაძე; ჭაბუკები — ოსტატობის კანდიდატები დ. გედევანიშვილი, ვ. ვეფხიშვილი, გ. ზაიჩიკი; ქალები — ოსტატები ც. კობაიძე, თ. ხუგაშვილი, გოგონები — ოსტატობის კანდიდატები თ. კაჭარავა და მ. წერეთელი. გუნდის კაპიტანი და სათადარიგო მოთამაშეა დიდოსტატი ბ. გურგენიძე.

ოლიმპიადას უხელმძღვანელებს 20-კაციანი მსაჯთა კოლეგია. მთავარი მსაჯია დიდოსტატი ა. კოტოვი, მოადგილეები — საერთაშორისო არბიტრები ლ. აბრამოვი (ორივე — მოსკოვი), ლ. შაპირო (ლენინგრადი), აგრეთვე, ვ. სპონია (ლატვია) და ი. სახაროვი (უკრაინა). მთავარი მდივანია ნ. როგოვეშკო (რსფსრ).

მსაჯთა კოლეგიამ უკვე შეიმუშავა ოლიმპიადის განრიგი. თამაშის დღეებია: 2, 3, 4, 5, 7, 9, 10, 11 და 13 მარტი, გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა 3, 4, 5, 7, 10 და 11 მარტს (დილის საათებში) და 8, 12 მარტს (საღამოს). 6 მარტს ოლიმპიელები დაისვენებენ. ამ დღეს ისინი დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებების, სასწავლებლების, პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეებს შეხვდებიან. ოლიმპიადა 14 მარტს საზეიმო ცერემონიალით დასრულდება.

დამსწრეთათვის (დარბაზი ათას მაყურებელზეა გათვალისწინებული) ყველაზე საინტერესო შეხვედრებს 30 სადემონსტრაციო დაფაზე აჩვენებენ.

ამ გრანდიოზული ტურნირის გახსნაზე მასპინძლებმა მოიწვიეს ფიდე-ს ბიუროს წევრები, სოციალისტური ქვეყნების საჭადრაკო ფედერაციების ხელმძღვანელები. 2-3 მარტს მოსკოვში ფიდე-ს ბიურო სხდომას გამართავს. აქ კიდევ ერთხელ იქნება ლაპარაკი სპასკი — ფიშერის მატჩზე.

მოჭადრაკეთა ფორუმის დღეებში გამოვა სპეციალური ბიულეტენის ხუთი ნომერი, რომლებშიც ოლიმპიადის რჩეული პარტიები გამოქვეყნდება. ოლიმპიადის მონაწილეებს, მსაჯებს და პრესის წარმომადგენლებს სამახსოვრო სამკერდე ნიშნები გადაეცემათ. ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში მოეწყობა გამოფენა „საჭადრაკო წიგნი სსრ კავშირში".

რა თქმა უნდა, იმ გუნდების წევრები, რომლებიც ოლიმპიადაში წარმატებით ითამაშებენ, დაჯილდოვდებიან ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით, აგრეთვე, შესაბამისი დიპლომებით.

ერთი სიტყვით, I ოლიმპიადა მოჭადრაკეთა აქამდე არნახული, ჭეშმარიტი დღესასწაული იქნება.

**თ. გიორგაძე,**
ოლიმპიადის მსაჯთა კოლეგიის წევრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი.



# უნივერსიადის პირველი მოსავალი

ლეიკ პლესიდი (აშშ), 28 თებერვალი. 23 სახელმწიფოს 300-მდე სპორტსმენი ჩაება სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო თამაშებში. „თეთრი უნივერსიადის" სამსაჯო ოქმებში პირველი შევიდა ანგარიში 9:3. ამით სსრ კავშირის ჰოკეისტთა გუნდის გამარჯვება აღინიშნა კანადელებთან მატჩში. მეორე დღეს კანადისა და აშშ-ს გუნდების მატჩი კანადელთა სასარგებლოდ დამთავრდა—9:4. ჰოკეისტთა ტურნირში სულ სამი ნაკრები თამაშობს. ესენი არიან ზემოჩამოთვლილი ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და სსრ კავშირის სტუდენტ სპორტსმენთა კოლექტივები. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია ტურნირი ჩატარდეს... სამ წრედ.

ოქროს პირველი მედალი ხვდა მოსკოველი ფიგურისტების გ. კარელინასა და გ. პროსკურინის წყვილს, რომლებმაც ყველას აჯობეს დუეტთა სრიალში. ასევე ოქროთი დაგვირგვინდა ყინულზე სპორტული ცეკვის საბჭოთა ოსტატების [illegible] და გ. კარპონოსოვის გამოსვლა (261,1 ქულა).

მოსკოველი [illegible] სავალდებულო პროგრამის შემდეგ I ადგილზე იყო, მაგრამ ნებისმიერ პროგრამაში მან ვერ შეინარჩუნა მონაპოვარი და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა. ოქრო მოიგო ამერიკელმა ჯ.-მ. პეტკევიჩმა.

დიდ წარმატებას მიაღწია მცირე ტრამპლინიდან ხტომაში მოსკოველმა „მფრინავმა მოთხილამურემ" ა. ივანიკოვმა. 218,4 ქულით (ნახტომები — 67 და 69 მ) მან უნივერსიადის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ იაპონელები კ. ვატანაბე — 217,4 (70 და 68,5) და ხ. ნაკანო — 213,7 (67 და 67). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, გორკელი გ. ნაპალკოვი IV ადგილს დასჯერდა — 212,2 (67,5 და 66,5 მ)

* * *

სურათზე: ა. ივანიკოვი ასპარეზობისას.

## [illegible]-72

● ლიუკსელი (შვეცია) 27 თებერვალი. მოთხილამურეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდმა (ი. გარანინი, ნ. ანტონენკო, ვ. ვორონკოვი, ვ. ვედენინი) მოიგო 4×10 კილომეტრზე ესტაფეტა — 2:21.13.

● ტარვიზიო (იტალია), 28 თებერვალი. ევროპის იუნიორ მოთხილამურეთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს — I ადგილი დაიკავეს 3×10 კილომეტრზე ესტაფეტაში.

● ვარშავა, 28 თებერვალი. პოლონეთის დედაქალაქის დარბაზში ასპარეზობისას ი. ბალენსკიმ 500 მეტრზე რბენაში მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 1.02,1. ძველი მიღწევა 0,4 წამით გაუმჯობესდა.

● შტუტგარტი, 28 თებერვალი. ადგილობრივ დახურულ სტადიონზე მწვავე ბრძოლით აღინიშნა გფრ-ის მძლეოსანთა ჩემპიონატი. 200 მეტრზე ფინალურ გარბენში რიტა ვილდენ-იანმა 0,1 წამით „გაუსწრო" დარბაზებისთვის მსოფლიო რეკორდს, რომელიც მან სულ ორი დღის წინათ დაამყარა. ახალი რეკორდია 23,6 წამი.

● ტურკუ, 28 თებერვალი. ფინეთის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატში მოასპარეზე ე. გუსტაფსონმა 60 მეტრზე რბენაში მსოფლიო მიღწევა გაიმეორა — 6,4 წამი. თავისი ქვეყნის „ზამთრის" რეკორდი დაამყარა ა. კალიომიაკიმ, რომელიც ჭოკით 532 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო.

● კოტბუსი, 28 თებერვალი. გდრ-ის ამ ქალაქის დარბაზში ევროპის ჩემპიონმა ჰ. ბრიზენიკმა 20,09 მეტრზე ჰკრა ბირთვი. ი. კრეზსმა 3000 მ 7 წუთსა და 58 წამში გაირბინა (ეს წლეულს მხოლოდ სამმა ევროპელმა შეძლო). გუნჰილდ ჰოფმაისტერმა ყველას აჯობა 800 (2.05,5) და 1500 მეტრზე (4.22,4) რბენაში.

● ბუქარესტი, 28 თებერვალი. ადგილობრივ დარბაზში გამართულმა საერთაშორისო მძლეოსნურმა შეჯიბრებამ „ბროლის თასზე" დიდი ინტერესი გამოიწვია. ჭოკით ხტომაში ყველას აჯობა ევროპის ჩემპიონმა ვ. ნორდვიგმა (გდრ) — 535 სმ (მეორე შედეგია წლეულს მსოფლიოში). მისმა თანამემამულემ, ევროპის ჩემპიონმა რენატა შტეჰერმა გაიმარჯვა 60 მეტრზე რბენაში — 7,3 წამი. ქალთა შორის ბირთვის კვრაშიც გდრ-ის წარმომადგენელი იყო პირველი: მ. ადამმა ეს იარაღი 18 მეტრზე გაგზავნა. ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. ვისკოპოლიანუს (რუმინეთი) ბადალი არ ჰყავდა სიგრძეზე ხტომაში — 649 სმ, ხოლო ინგლისელმა ბ. ინკპენმა ფოსბიურის ყაიდით 185 სმ სიმაღლე გადალახა. ბირთვისმკვრელ ვაჟთა შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა პოლონელმა ვ. კომარმა — 19,26 მ.

● სოფია, 28 თებერვალი. „ფესტივალნის" დარბაზში ი. ხრისტოვამ 17,97 მეტრზე ჰკრა ბირთვი, ხოლო ჩეხოსლოვაკიელმა სტუმარმა იაროსლავ ბრაბეცმა — 19,48 მეტრზე.

**როცა გაზეთი ხელმოსაწერად მზად იყო... 19⁴⁵**

◆ ლეიკ პლესიდი, 29 თებერვალი. ამერიკის შეერთებული შტატების ამ სააგარაკო ქალაქში გრძელდება ზამთრის უნივერსიადა. სსრ კავშირის ჰოკეისტებმა კიდევ ერთი წარმატება იზეიმეს — ანგარიშით 9:0 სძლიეს აშშ-ს ნაკრებს. პირველი ჯილდოები გადაეცათ სამთომოთხილამურეებს — სწრაფდაშვების მონაწილეებს. ოქროს მედლები ერგოთ ვანკუვერელ სტუდენტს, 19 წლის ლიზა რიჩარდსონს (კანადა) და 20 წლის გრენობლელ ერიკ სტაჰლს (საფრანგეთი). კანადელის დროა 2.01,84 (ტრასის სიგრძე 2,7 კმ, სიმაღლეთა სხვაობა — 674 მ), ხოლო ფრანგისა — 2.00,07 (3,1 კმ, 798 მ). საბჭოთა კავშირის სამთომოთხილამურე ქალთაგან საუკეთესო იყო კემეროვოელი ნ. ხალზოვა — VII ადგილი. ერთეულ ქალთა ფიგურულ სრიალში I ადგილი დაიკავა ჯ. უოლშმა (აშშ) — 1288,9 ქულა (ადგილების ჯამი — 5), რომელმაც მწვავე ბრძოლაში ვერცხლი არგუნა ლ. ბეზაკოვას (ჩეხოსლოვაკია) — 1224,1 (10).

## 1:1, 3:1

### სსრ კავშირის თასზე

ფეხბურთი

სოხუმი, 28 თებერვალი. სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის დღეს აქ გამართული პირველი მატჩი მინსკის „დინამოსა" და ყარაგანდის „შახტიორს" შორის ფრედ დამთავრდა — 1:1.

ანგარიში 65-ე წუთზე გახსნა ყარაგანდელმა ნოვიკოვმა, 20 წუთის შემდეგ კი დინამოელთა კაპიტანმა მალოფეევმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით მეტოქის კარში საპასუხო ბურთი გაიტანა.

სოჭი, 28 თებერვალი. ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე საკმაოდ ბევრი მაყურებელი დაესწრო მეთექვსმეტედფინალურ მატჩს — ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო" და დონეცკის „შახტიორი".

26-ე წუთზე მოსკოველმა კოჟემიაკინმა თავური დარტყმით გაგზავნა ბურთი დონეცკელთა კარში, ხოლო მე-60 წუთზე იაკუბიკმა უძლიერესი დარტყმით კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0. ამის შემდეგ დონეცკელებს დინამოელთა კარის აღების სულ ცოტა სამი ნაღდი შანსი ჰქონდათ, მაგრამ... თავიანთ კარში მიიღეს მესამე ბურთი. ეს მოხდა ევრიუჟიხინის სწრაფი გარღვევისა და ბაიდაჩნის ზუსტი დარტყმის შედეგად. და მაინც, როცა მეორე ტაიმის დამთავრებას წუთი აკლდა, „შახტიორის" ნახევარმცველმა გუბიჩმა თავური დარტყმით გაქვითა ერთი გოლი.

ამრიგად, ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

* * *

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრები გაიმართება ყარაგანდასა და დონეცკში.

## ყინულის მოედნებზე

გუშინწინ გაიმართა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. მათი შედეგები ასეთია: ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) 7:2, „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 4:1, „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — ასკ (ლენინგრადი) 6:2.



# გრენობლისკენ

მძლეოსნობა

11-12 მარტს საფრანგეთის სამთო კურორტ გრენობლში ევროპის მძლეოსანთა ზამთრის მორიგი ჩემპიონატი გაიმართება. ეს ტურნირი თანდათან პოპულარული ხდება, შედეგებიც საგრძნობლად მატულობს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა წლეულს: პირველობისთვის მზადების პერიოდში გამართულ ტურნირებში გაუმჯობესდა ათობით მსოფლიო მიღწევა, რომელთა ავტორები სსრ კავშირის სპორტსმენებიც არიან.

მიღწევებით აღინიშნა საბჭოთა კავშირის ზამთრის პირველობაც, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. ამ ტურნირში საქართველოს მძლეოსნების ა. მოშიაშვილისა და ვ. სანეევის წარმატებებზე უკვე ვწერდით. ახლა სხვა შედეგებს გაგაცნობთ.

1500 მეტრზე მორბენალ ქალთა შორის კიეველმა ტ. პანგელოვამ კონტინენტზე სეზონის საუკეთესო შედეგით (4.18,7) გაიმარჯვა. 100 მეტრზე თარჯრბენში ასპარეზობისას ნახევარფინალში ი. ბონდარევამ, ხოლო ფინალში ლ. სვეჟენცევამ მსოფლიო მიღწევა (13,7) გაიმეორეს.

ყველაზე დაძაბული მაინც სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შეჯიბრება იყო. ევროპის ჩემპიონმა, ვილნიუსელმა კ. შაპკამ და ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა 220 სმ დაძლიეს, მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორმა, მოსკოველმა ვ. გავრილოვმა და კიშინიოველმა ვეტერანმა ვ. ბოლშოვმა — 217. ეს და მსოფლიოს სხვა საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელთა მაჩვენებლები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წლეულს ვ. ბრუმელის მსოფლიო მიღწევაც (225 სმ) გაუმჯობესდება.

მოსკოვში ჭოკით ხტომა მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონმა, ხარკოველმა ე. ტანანიკამ — 520 სმ. ბირთვისმკვრელ ვაჟთა შეჯიბრება სსრ კავშირის რეკორდსმენ ვ. ვოიკინის (ლენინგრადი) გამარჯვებით დამთავრდა — 19,42 მ. ქალთა ტურნირში უძლიერესი იყო ლენინგრადელი მსოფლიო რეკორდსმენი ნ. ჩიჟოვა — 18,47 მ. სიგრძეზე მხტომელ ვაჟთა შეჯიბრებაში ტალინელმა ტ. ლეპიკმა სსრ კავშირში სეზონის საუკეთესო მაჩვენებელს (772 სმ) მიაღწია.

სსრ კავშირის მძლეოსნები გრენობლიდან ამერიკაში გაემგზავრებიან. 17 მარტს რიჩმონდში ისინი ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნებთან ზამთრის პირველ მატჩს გამართავენ.

* * *

სურათზე: 100 მეტრზე ვაჟთა ფინალური გარბენის მომენტი.

ბ. ხვეტლანოვის ფოტო. („ტრუდი").

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

6 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02564